ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2362008

ნომერი: AR1363530

თარიღი : 11.12.2015

გაცემის თარიღი : 28.12.2015

გაცნობის თარიღი : 30.12.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წინამძღვრიშვილი , N 160 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონა ლაგურაშვილი პ/ნ 01014003799
- თბილისი ს.დოდაშვილის ქ. N 40

ორგანიზაცია:

- შპს"ვიონი საქართველო" კოდი: 20445084

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის სახურავზე შ.პ.ს. "მობიტელი"–ს მობილური კავშირგაბმულობის საბაზო რადიოსადგურის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში (სექტორი – დიდუბე), წინამძღვრიშვილის ქ. N160–ში, შ.პ.ს. "რკინიგზის ტელეკომი"–ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის სახურავზე შ.პ.ს. "მობიტელი"–ს მობილური კავშირგაბმულოის საბაზო რადიოსადგურის მოწყობის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლში საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აგვისტოს N315 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა, რეგისტრაციის N 8820157213296, 23.12.2015; საკადასტრო კოდი N 01.13.08.003.047; 2007 წლის 20 აპრილის N61/07/A ხელშეკრულება, დამატებითი შეთანხმება N1, 01 ოქტომბერი, 2008 წ; დამატებითი შეთანხმება N2, 5 აპრილი, 2012 წ. დამატებითი შეთანხმება N3, 16 აპრილი, 2013წ.; შ.პ.ს. "მობიტელი"–ს გენერალური დირექტორის გიორგი ტყეშელაშვილის 2015 წლის 6 თებერვლის მინდობილობა N774; შ.პ.ს. "რკინიგზის ტელეკომი"–ს დირექტორის გრიგოლ თოდუას 22.12.2015 წლის N221215–1 მომართვის წერილი; არსებული ფოტო; ფოტომონტაჟი; სანიტარული დაცვის ორგანიზაციისა და კეთილმოწყობის პროექტი; შპს გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის სანიტარულ–ჰიგიენური დასკვნა N008/15–ემგ) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში (სექტორი – დიდუბე), წინამძღვრიშვილის ქ. N160–ში, შ.პ.ს. "რკინიგზის ტელეკომი"–ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის სახურავზე შ.პ.ს. "მობიტელი"–ს მობილური კავშირგაბმულოის საბაზო რადიოსადგურის მოწყობის შესაძლებლობას.

მშენებლობის მწარმოებელი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები. უზრუნველყოფილ იქნას საბაზო რადიოსადგურის კონსტრუქციული მდგრადობა.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge